

შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

## სარჩევი:

### ფინანსური ინფორმაცია:

|                                                                  |    |
|------------------------------------------------------------------|----|
| კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....         | 3  |
| კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება .....               | 4  |
| კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....  | 5  |
| კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....      | 6  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                       | 7  |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                    | 7  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები. .... | 8  |
| 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა .....               | 9  |
| 5. გუდვილი .....                                                 | 11 |
| 6. ძირითადი საშუალებები .....                                    | 12 |
| 7. გადახდილი ავანსები .....                                      | 13 |
| 8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....                           | 13 |
| 9. ფული და ფულის ექვივალენტები .....                             | 13 |
| 10. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი .....                    | 13 |
| 11. მიწოდების ხარჯი .....                                        | 14 |
| 12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....               | 14 |
| 13. პირობითი ვალდებულებები .....                                 | 14 |
| 14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....           | 14 |

შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის

(ლარში)

|                                               | შენიშვნა | 31.12.2024        | 31.12.2023        |
|-----------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები:</b>                              |          |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები:</b>                 |          |                   |                   |
| გუდვილი                                       | 5        | 710,502           | -                 |
| ძირითადი საშუალებები                          | 6        | 4,475,780         | 1,880,904         |
|                                               |          | <b>5,186,282</b>  | <b>1,880,904</b>  |
| <b>მოკლევადიანი აქტივები:</b>                 |          |                   |                   |
| გადახდილი ავანსები                            | 7        | 126,936           | 106,202           |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი                  | 8        | 1,508,179         | 1,200,229         |
| სავაჭრო მოთხოვნები                            |          | 587,072           | 592,219           |
| საგადასახადო აქტივი                           |          | 22,874            | -                 |
| ფული და ფულის ექვივალენტები                   | 9        | 4,237,117         | 6,380,187         |
|                                               |          | <b>6,482,177</b>  | <b>8,278,837</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>11,668,460</b> | <b>10,159,741</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:</b>    |          |                   |                   |
| <b>საკუთარი კაპიტალი:</b>                     |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                            |          | -                 | -                 |
| გაუნაწილებელი მოგება                          |          | 11,656,081        | 10,051,516        |
|                                               |          | <b>11,656,081</b> | <b>10,051,516</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები:</b>            |          |                   |                   |
| მიღებული ავანსები                             |          | 2,519             | 3,078             |
| სავაჭრო ვალდებულებები                         |          | 9,860             | 84,469            |
| საგადასახადო ვალდებულება                      |          | -                 | 20,679            |
|                                               |          | <b>12,379</b>     | <b>108,226</b>    |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>11,668,460</b> | <b>10,159,741</b> |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



მანანა საათაშვილი

07-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს გენ

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

|                                              | შენიშვნა | 2024        | 2023        |
|----------------------------------------------|----------|-------------|-------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                     |          | 7,433,689   | 8,301,866   |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება        |          | (5,411,628) | (5,872,958) |
| საერთო მოგება                                |          | 2,022,061   | 2,428,908   |
| საოპერაციო ხარჯი:                            |          |             |             |
| ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი          | 10       | (144,909)   | (131,873)   |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა                  |          | (175,803)   | (168,411)   |
| მიწოდების ხარჯი                              | 11       | (40,405)    | (37,844)    |
| საოპერაციო მოგება                            |          | 1,660,944   | 2,090,779   |
| არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი:           |          |             |             |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო |          | (33,632)    | (25,210)    |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო  |          | (22,746)    | 3,771       |
| მოგება დაბეგვრამდე                           |          | 1,604,565   | 2,069,340   |
| მოგების გადასახადის კორექტირება/(ხარჯი)      |          | -           | 248,394     |
| პერიოდის წმინდა მოგება                       |          | 1,604,565   | 2,317,734   |

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



მანანა  
საათაშვილი

07-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გენ

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

|                                  | საწესდებო<br>კაპიტალი | პერიოდის<br>წმინდა მოგება | სულ კაპიტალი |
|----------------------------------|-----------------------|---------------------------|--------------|
| ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 8,263,784             | -                         | 8,263,784    |
| გასული პერიოდის კორექტირება      | -                     | (3,686)                   | (3,686)      |
| პერიოდის წმინდა მოგება           | -                     | 2,317,734                 | 2,317,734    |
| დივიდენდის გაცემა                | -                     | (526,316)                 | (526,316)    |
| ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 8,263,784             | 1,787,733                 | 10,051,516   |
| პერიოდის წმინდა მოგება           | -                     | 1,604,565                 | 1,604,565    |
| ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 8,263,784             | 3,392,298                 | 11,656,081   |

07-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის  
(ლარში)

|                                                                   | 2024               | 2023             |
|-------------------------------------------------------------------|--------------------|------------------|
| მოგება დაბეგვრამდე                                                | 1,604,565          | 2,314,048        |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:</b>         |                    |                  |
| <i>კორექტირებები:</i>                                             |                    |                  |
| ცვეთა                                                             | 175,803            | 168,411          |
| მოგების გადასახადის ანარიცხის კორექტირება                         | -                  | (341,273)        |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო                      | 33,632             | 25,210           |
| <i>სამუშაო კაპიტალის ცვლილება:</i>                                |                    |                  |
| გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება                              | (20,734)           | (72,808)         |
| მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება                                      | 20,827             | (19,857)         |
| მარაგების (ზრდა)/შემცირება                                        | (307,950)          | (292,796)        |
| მიღებული ავანსების ზრდა/(შემცირება)                               | (559)              | (2,634)          |
| ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)                                   | (93,362)           | (17,090)         |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>   | <b>(192,342)</b>   | <b>(552,838)</b> |
| <b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:</b>       |                    |                  |
| გუდვილის ზრდა                                                     | (710,502)          | -                |
| გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა                                   | (2,770,679)        | (189,984)        |
| გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა                                    | -                  | -                |
| <b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b> | <b>(3,481,181)</b> | <b>(189,984)</b> |
| <b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:</b>          |                    |                  |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება                                      | -                  | -                |
| დივიდენდის გაცემა                                                 | -                  | (526,316)        |
| <b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>    | <b>-</b>           | <b>(526,316)</b> |
| <b>სულ ფულისა და ფულის ექვივალენტების ზრდა</b>                    | <b>(2,068,957)</b> | <b>1,044,910</b> |
| საკურსო ეფექტის გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე             | (74,113)           | (106,165)        |
| ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში                   | 6,380,187          | 5,441,442        |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>                 | <b>4,237,117</b>   | <b>6,380,188</b> |

07-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გენ (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2017 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა და რეალიზაცია. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია 1 სასაწყობო ფართით. რეალიზაცია ხორციელდება როგორც საწყობიდან, ასევე მაღაზიებიდან.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის მანანა საათაშვილის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, გ.რობაქიძის ქ., №31

2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელია:

მანანა საათაშვილი: 100%

ჯგუფის სტრუქტურა: შპს გენი (შემდგომში ჯგუფი შვილობილებთან ერთად) თავის მხრივ ფლობს შემდეგი კომპანიის წილს:

| შვილობილი კომპანია | წილი/ხმის უფლება (%) |
|--------------------|----------------------|
| შპს ფლექსფოამ      | 100%                 |

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - გიორგი ბუქულაშვილი.

შპს გენის მიერ შესყიდულ იქნა შპს გელდიკო 100% წილი 2024 წლის 9 სექტემბრის 2,962,850 ლარად.

შპს გელდიკო 2024 წლის 2 ოქტომბრის დარეგისტრირდა საფირმო სახელწოდებით - შპს ფლექსფოამ.

შპს ფლექსფოამი 2025 წლის 9 ივნისს დარეგისტრირდა საფირმო სახელწოდებით - შპს ფოამლაინ ჯორჯია.

### 2. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შვილობილი კომპანიები: შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც შპს გენი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, აკონტროლებს საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

#### შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომპანია ზოგადად არ მოელის, რომ მის ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

### საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სააღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოიხილება სისტემატიურად. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება** - ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ გარკვეულ ფაქტორებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე. საწარმო გაუფასურების ტესტირებისას აჯგუფებს მსგავს აქტივებს. თუ არსებობს მსგავსი აქტივების ჯგუფის გაუფასურების მაჩვენებელი და აღნიშნულ ჯგუფში შემავალი ინდივიდუალური აქტივისათვის შეუძლებელია გაუფასურების განსაზღვრა, ფინანსური აქტივების ჯგუფის მომავალი ფულადი ნაკადები ჯგუფურად ფასდება გაუფასურებაზე. როდესაც გაუფასურების ზარალის დასადგენად ხდება წარსული ზარალის გამოცდილების გამოყენება, მისი კორექტირება ხდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე, რათა აისახოს მიმდინარე პირობების გავლენა, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა იმ პერიოდზე, რომელსაც ეყრდნობა წარსული ზარალის გამოცდილება და უქმდება წარსული პერიოდის პირობების გავლენა, რომლებიც აღარ არსებობს მიმდინარე პერიოდში.

მეორე მხრივ, აღნიშნული შეფასებები მოიცავს მომავალ დაშვებებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანმა და განუქვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.



## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

**დაბეგვრა** - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანია დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

#### 4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური უწყისის სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ექვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

#### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშვება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. მენეჯმენტის მოსაზრებით, ფინანსური უწყისის შედგენის თარიღისთვის ფინანსური მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული მოთხოვნები, რომელიც საჭიროებს გაუფასურების ანარიცხვების შექმნას.

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### ფინანსური ინსტრუმენტი - რისკების მართვა (გაგრძელება)

#### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის უწყისში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

|                                | GEL              | EUR            | USD        | RUB          | სულ       |
|--------------------------------|------------------|----------------|------------|--------------|-----------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                  |                |            |              |           |
| სავაჭრო მოთხოვნები             | 587,072          | -              | -          | -            | 587,072   |
| ფული და ფულის ექვივალენტები    | 3,938,847        | 291,978        | 140        | 5,713        | 4,236,678 |
|                                | 4,525,919        | 291,978        | 140        | 5,713        | 4,823,750 |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                  |                |            |              |           |
| სავაჭრო ვალდებულებები          | 9,779            | -              | -          | -            | 9,779     |
|                                | 9,779            | -              | -          | -            | 9,779     |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>   | <b>4,516,140</b> | <b>291,978</b> | <b>140</b> | <b>5,713</b> |           |

#### სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

|                              | 2024   |          |
|------------------------------|--------|----------|
| სავალუტო რისკის მგრძნობელობა | +20%   | -20%     |
| ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი) | 58,396 | (58,396) |

#### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

#### კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს დამფუძნებლისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 5. გუდვილი

გუდვილი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                     | 2024           |
|-----------------------------------------------------|----------------|
| შპს ფლექსფოამის შესყიდვის ფასი                      | 2,962,850      |
| შპს ფლექსფოამის წმინდა აქტივების რეალური ღირებულება | 2,252,348      |
| <b>გუდვილი</b>                                      | <b>710,502</b> |

გუდვილი წარმოადგენს სხვაობას შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების შესაძენად გადახდილ თანხასა და ამ წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას შორის. შესაბამისად შპს ფლექსფოამის აქტივები შეფასდა რეალური ღირებულებით.

შპს ფლექსფოამის მიწის რეალური ღირებულების გამოთვლა:

|                      |                  |
|----------------------|------------------|
| <b>მიწა</b>          |                  |
| ფართობი (კვ.მ)       | 27,809           |
| 1 კვ.მ ფასი \$       | 30               |
| 1 კვ.მ ფასი ლარი     | 81               |
| რეალური ღირებულება   | 2,247,106        |
| საბალანსო ღირებულება | 46,558           |
| <b>სხვაობა</b>       | <b>2,200,548</b> |

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ისტორიული ღირებულება             | მიწა      | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალება | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | სულ       |
|----------------------------------|-----------|-----------------------|-------------------------|-----------------------|----------------------------|---------------------------|-----------------------------|-----------|
| <b>1 იანვარი 2023</b>            | -         | 1,194,191             | 406,052                 | 26,794                | 18,383                     | 385,557                   | 421,058                     | 2,452,034 |
| შეძენა                           | -         | -                     | 86,317                  | 633                   | 21,974                     | -                         | 81,455                      | 190,380   |
| გასვლა                           | -         | -                     | -                       | -                     | -                          | -                         | (396)                       | (396)     |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>         | -         | 1,194,191             | 492,369                 | 27,427                | 40,357                     | 385,557                   | 502,117                     | 2,642,018 |
| შეძენა                           | 2,247,106 | 3,686                 | 100,175                 | 4,692                 | 3,834                      | 359,226                   | 51,959                      | 2,770,679 |
| გასვლა                           | -         | -                     | -                       | -                     | -                          | -                         | -                           | -         |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>         | 2,247,106 | 1,197,877             | 592,544                 | 32,119                | 44,191                     | 744,783                   | 554,076                     | 3,165,591 |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>           |           |                       |                         |                       |                            |                           |                             |           |
| <b>1 იანვარი 2023</b>            | -         | (210,135)             | (222,762)               | (11,186)              | (6,788)                    | (141,833)                 | -                           | (592,703) |
| ცვეთა                            | -         | (79,613)              | (40,233)                | (4,564)               | (5,445)                    | (38,556)                  | -                           | (168,411) |
| გასული აქტივების ცვეთა           | -         | -                     | -                       | -                     | -                          | -                         | -                           | -         |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>         | -         | (289,747)             | (262,995)               | (15,750)              | (12,233)                   | (180,389)                 | -                           | (761,114) |
| ცვეთა                            | -         | (79,981)              | (43,394)                | (4,894)               | (7,845)                    | (39,690)                  | -                           | (175,803) |
| გასული აქტივების ცვეთა           | -         | -                     | -                       | -                     | -                          | -                         | -                           | -         |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>         | -         | (369,729)             | (306,389)               | (20,644)              | (20,077)                   | (220,078)                 | -                           | (936,917) |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b> |           |                       |                         |                       |                            |                           |                             |           |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>         | -         | 904,443               | 229,374                 | 11,677                | 28,125                     | 205,169                   | 502,117                     | 1,880,904 |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>         | 2,247,106 | 828,148               | 286,155                 | 11,475                | 24,114                     | 524,705                   | 554,076                     | 4,475,780 |



## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                               | 2024           | 2023           |
|-----------------------------------------------|----------------|----------------|
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები რეზიდენტი    | 35,092         | 2,659          |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები არარეზიდენტი | 91,844         | 103,543        |
| <b>სულ გადახდილი ავანსები</b>                 | <b>126,936</b> | <b>106,202</b> |

### 8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                           | 2024             | 2023             |
|-------------------------------------------|------------------|------------------|
| საქონელი                                  | 1,500,306        | 1,194,838        |
| საწვავი                                   | 7,873            | 5,391            |
| <b>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</b> | <b>1,508,179</b> | <b>1,200,229</b> |

### 9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                  | 2024             | 2023             |
|--------------------------------------------------|------------------|------------------|
| ფული სალაროში                                    | 4,975            | 30,102           |
| ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე ლარში         | 3,934,311        | 5,911,181        |
| ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში | 297,831          | 438,904          |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>           | <b>4,237,117</b> | <b>6,380,187</b> |

ფულის და ფულის ექვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

### 10. ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები 2024 და 2023 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                | 2024           | 2023           |
|------------------------------------------------|----------------|----------------|
| შრომის ანაზღაურება                             | 65,832         | 62,696         |
| საკონსულტაციო ხარჯი                            | 22,165         | 20,942         |
| ქონების გადასახადის ხარჯი                      | 20,530         | 18,371         |
| საბანკო ხარჯი                                  | 17,730         | 15,202         |
| კომუნალური ხარჯი                               | 9,634          | 10,524         |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები                   | 9,018          | 4,138          |
| <b>სულ ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი</b> | <b>144,909</b> | <b>131,873</b> |

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### 11. მიწოდების ხარჯი

მიწოდების ხარჯი 2024 და 2023 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                             | 2024          | 2023          |
|-----------------------------|---------------|---------------|
| საწვავი                     | 24,403        | 29,279        |
| ავტომობილის საექსპლუატაციო  | 11,898        | 5,155         |
| მაღაზიის კომუნალური ხარჯი   | 3,362         | -             |
| დანადგარების საექსპლუატაციო | -             | 2,707         |
| სხვა მიწოდების ხარჯი        | 743           | 703           |
| <b>სულ მიწოდების ხარჯი</b>  | <b>40,405</b> | <b>37,844</b> |

### 12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არა-მაკორექტირებელი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

### 13. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ

მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

### 14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლები მოიცავს საწყობიდან და მაღაზიიდან მარაგების გაყიდვას. საწყობიდან მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლების მიერ საწყობსა და მაღაზიაში პროდუქციის ყიდვის მომენტში და შესაბამისად კომპანია შემოსავლებს აღიარებს დროის ამ მონაკვეთში.

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, ფასდათმობისა და გადასახადების გამოკლებით. მომხმარებლებს აქვთ უფლება რომ პროდუქცია დააბრუნონ ან ჩაანაცვლონ, თუმცა უკან დაბრუნებული პროდუქციის ხვედრითი წილი გაყიდულ მთლიან პროდუქციაში არამატერიალურია.

### გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად კომპანია არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

### გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია პროდუქციას ყიდის ფიქსირებული ფასებით თითოეულ პროდუქტზე, შესაბამისად კომპანია არ იყენებს მსჯელობას თითოეულ გასაყიდ პროდუქტზე ფასების განაწილებისას.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ფასს 9-შია წარმოადგენილი. ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

#### ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ექვივალენტებს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

#### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

#### სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება

თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

#### ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთ გადახურვისთვის.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-6 განმარტებით შენიშვნაში.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,

## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ჯგუფები და სასარგებლო მომსახურების ვადები

| ჯგუფი                    | სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები) |
|--------------------------|----------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები        | 15                                     |
| სატრანსპორტო საშუალებები | 10                                     |
| მანქანა-დანადგარები      | 5                                      |
| სამუშაო იარაღები         | 5                                      |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი  | 5                                      |

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება არასაოპერაციო შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების

ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებას ან ზარალში.

### უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით, ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება(ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

|                                  | საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ<br>გამოცხადებული გაცვლითი კურსი |        |
|----------------------------------|------------------------------------------------------------------|--------|
|                                  | აშშ დოლარი                                                       | ევრო   |
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8068                                                           | 2.9306 |
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6894                                                           | 2.9753 |



## შპს გენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

### მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარი ცვლილება ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

#### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

#### ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

#### დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური უწყისის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

#### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ უწყისში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი

## **შპს გენ**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

---

### **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.